ნიანგი

ISSN 0132-6015

2

გამოცემის 56-ე წელი, (№ 1564). იანვარი, 1980. ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგ ნულეგის ტრიალით გამაკვირვებ?! მე ასიანებს ვატრიალებ!

ვალერიან
მამუკელაშვილი,
ვანო ცინცაძე,

„ნიანგის“ სპეციალური
კორესპონდენტები.

ბრძანებათა ქარიშხალი

გურჯაანის ღვინის-მჟავა ნედლეულის ქარხანაში ბომბივით გავარდა გაერთიანების ერთი ბრძანება, რომლის თანახმადაც ქარხნის ძველ დირექტორს, **გიორგი დულაშვილს**, უნდა ჩაებარებინა და ახალს, **გივი აბაშიძეს**, მიეღო საწარმო გასული წლის I თებერვლის საბალანსო მონაცემებით. თბილისის სპირტისა და ლიქიორ-არაყის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების ლაბორატორიის გამგეს — **თინა ყუშიტაშვილსა** და უფროს ფინანსისტ-ეკონომისტს — **ნიკოლოზ ჩხეიძეს** ნედლეულის მზა პროდუქციის ინვენტარიზაცია უნდა ჩაეტარებინათ და ისე გადაეცათ ქარხანა ახალი ხელმძღვანელობისათვის. 13 თებერვალს (მართლაც რომ ხშირად თარსია 13 რიცხვი!) გაერთიანების მთავარმა ბუღალტერმა — **შალვა თეთრაულმა** რატომღაც გააუქმა უფროსის ბრძანება და ახალ დირექტორს განკარგულება მისცა: შენი კომისია შენვე გამოჰყავი და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია თქვენვე ჩაატარეთო! ამ საქმეში მთავარ ბუღალტერს ვერავინ დაემდურება, რამეთუ ყველანაირ მეტნაკლეობას შინაურები უფრო კარგად ასწორებენ!

ახალმა დირექტორმა ცოტა ხნის შემდეგ ქარიშხალს მზიანი დარი გამოურია, ტრესტის მიერ გათავისუფლებული ტექნოლოგი **ზეზვა შაოშვილი** ზეინკლად დანიშნა, ხოლო გაერთიანების მიერ გათავისუფლებული მატერიალურად პასუხისმგებელი პირი—**იოსებ დავითნიძე** ლექების საამქროში მეღვინე ინჟინერ-ტექნოლოგის თანამდებობაზე დააწინაურა.

ბრძანების ასლები ფრთაფარფატა მტრედებივით გაფრინდნენ „სამტრესტში“ და სამინისტროში, იქიდან კი, 22 მარტს, რევიზორ-ტექნოლოგი **გივი სესიაშვილი** აფრინეს: გურჯაანში სასწრაფოდ აღწერე ყველაფერი და გაიგე, იმ ქარხანაში ისწავლეს თუ არა ჭკუა ზოგიერთებმაო! რევიზორმაც აღწერა, შეამოწმა ფაქტიური მდგომარეობა და მეტობაც მეტი იყო და ნაკლებობაც საკმარისი. ამაზე არც არავის გახეთქვია შიშით გული, არც არავის ჩაქცევია ნაღველი! სპირტსაცავში ჩაზომვის შედეგად ადრე, დოკუმენტური რევიზიის მასალების საფუძველზე გათავისუფლებულ სპირტსაცავის ინჟინერ-ტექნოლოგ **თენგიზ რუაძეს** 2,16 დეკალიტრი სპირტრექტიფიკადის დანაკლისი აღმოაჩნდა, ნედლეულის საწყობის მატერიალურად პასუხისმგებელ პირს—**ოთარ ნაცვლიშვილს** — 77,59 დეკალიტრის ზედმეტობა, ხოლო ნედლეულის საამქროში **ზეზვა შაოშვილს, ვახტანგ როსტომშვილსა და იოსებ დავითნიძეს** — 6,44 დეკალიტრი ნედლი სპირტის დანაკლისი.

28 აპრილს კიდევ ერთხელ გახმიანდა დირექტორის ბრძანება: **ზ. შაოშვილს** და მასთან მომუშავე მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს — **ვ. როსტომშვილსა და ი. დავითნიძეს** დაეწერათ დანაკლისის სახით გამოვლენილი 6.44 დეკალიტრი ნედლი სპირტი, ხოლო **ო. ნაცვლიშვილი** ნედლი სპირტის მეტობისათვის გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, საწყობი კი პასუხისმგებლობამოხსნილ **ი. დავითნიძეს** გადაებარა.

3 ივლისს ისევ აბობოქრდა დირექტორი — დაკავებული თანამდებობიდან მეორედ გაათავისუფლა **ი. დავითნიძე, ვ. როსტომშვილი** და სპირტსაცავის უფროსი **თ. რუაძე. ზ. შაოშვილი** ზეინკლობიდანაც გადააყენა, მაგრამ 19 ივლისს აღრიცხვიანობის საქმეში დარღვევებისათვის მოხსნილი იგივე **შაოშვილი** აღრიცხვა-ანგარიშების მომწესრიგებელი კომისიის წევრად დააწინაურა.

და მაინც ყველაზე მეტად დირექტორს გული **ო. ნაცვლიშვილზე** მოუბრუნდა— სამი თვისა და ათი დღის განმავლობაში „განწირული“ მუშაკი სამუშაოზე აღადგინა.

ასე აღსდგა მეორედ თავის თანამდებობაზე უდანაშაულოდ დამნაშავე სპეციალისტი. პირველად **ო. ნაცვლიშვილს** 1976 წელს დაატოვებინეს სამუშაო. პარტიის გურჯაანის რაიკომის მიერ გამოცხადებული სასტიკი საყვედურისა და სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელის ძალით ნირწამხდარი სპეციალისტი თბილისში დაბრუნდა და სპირტისა და ლიქიორ-არაყის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ნავთლუღის ჰაერი ვერ აიტანა და პირადი განცხადების საფუძველზე იქიდანაც გაათავისუფლეს. წელიწადისა და სამი თვის შემდეგ ისევ მოენატრა გურჯაანი და... ჰოი, საკვირველებავ! — **1978 წლის 1 ნოემბერს გაერთიანების № 702 ბრძანებით კვლავ ნიშნავენ იმავე ქარხანაში რექტიფიკაციის საამქროს უფროსად!** დაიწყო მუშაობა „გამოცდილმა სპეციალისტმა“, მაგრამ სულ მალე 77.59 დეკალიტრი ნედლი სპირტის მეტობა აღმოაჩნდა. თუმცა რა მოხდა — სპირტი ხან მეტი იქნება, ხან ნაკლები! რო?! გაერთიანების მთავარი ბუღალტრის მიერ უარყოფილი ტრაფარეტით აღწერის სისწორე, კვების მრეწველობის საკავშირო სამინისტროს ინსტრუქციის თანახმად, სამართლიანი და კანონიერია? ნურას უკაცრავად! აბა, ჰკითხეთ **შ. თეთრაულს** და გეტყვით, რომ საწყაოთი გადარწყვას არაფერი სჯობია! (91.510 დეკალიტრის გადარწყვას დიდი დრო უნდა, დრო კი ყველაფრის მკურნალია, თუ მას შინაურებმაც შეუწყვეს ხელი!). მართალია, ბოროტი ენები ლაპარაკობენ, ოთარს ზედმეტი სპირტის ასაორთქლებლად ქარხნის ეზოში გადაღვრა და თანამშრომლებზე გასაჩუქრება დასჭირდაო, მაგრამ ჭორი ჭორია და მართალ კაცს ვერას დააკლებს ათასნაირი ქილიკი და ცილისწამება!

მას შემდეგ იწერება ბრძანებები, ივსება საქაღალდეები, ფუსფუსებენ კომისიის წევრები, ბობოქრობენ განაწყენებულები, მაგრამ საშველი არ ადგება! (გურჯაანის ქარხნის 5 მატერიალურად პასუხისმგებელი თანამშრომლის გათავისუფლებისათვის 7 სხვადასხვა ბრძანება დაიწერა, მაგრამ შვიდივე უშედეგოდაა დარჩენილი!).

ბრძენი დონ კიხოტ ლამანჩელი ასე არიგებდა ბარატარიის გუბერნატორად დანიშნულ სანჩო პანსას: **„ბევრი ქაღალდისა და ბრძანების წერას ნუ მოჰყვები! ეცადე, შენი წერა და ბრძანება მარტო საქმეს შეიცავდეს, მეტადრე კიდევ იმას ეცადე, შენი ბრძანება უთუოდ ასრულებულიყოს! თუ არ იქნება, სჯობს არც კი რამ უბრძანო! შესაშინებლად დანიშნული და არაოდეს არაღსრულებული კანონები იმ ღორ-ბაყაყების მეფე-ჯირკს ემსგავსებიან, პირველში რომ თავისი სანახაობით შეაშინა, შემდეგში კი ისე აგდებული და შეურაცხყოფილი შეიქნა მათგან, რომ ბაყაყები კისერზე შეახტებოდნენ ხოლმე“.**

დროა, ისმინონ ბრწყინვალე რაინდის ეს შეგონება გურჯაანელმა ბრძანებების მოყვარულებმა!

ნახ. გ. ფირცხალავასი



— გახსოვს, საწყობიდან ერთად რომ ვიპარავდით?! ახლა ხაფანგების გაყიდვა დაიწყე?!

ცხენები — წიგნში!

დაგვიძმობილდი, გვიშველე, ისმინე ჩვენი ღაღადი!..
მარტო რას გვიშველს — ძელნითა ასჯერა ვლებოთ ქაღალდი?!
იქნება მოვისვენებდით, თქვენთვის გვეცნობა აქამდის:
ნალ-ლურსმანს ვერა ვშოულობთ, დავდივართ მთიდან ბარამდი!
თუ წინათ იყო ცხენები ბრძოლის „ტანკი და ატომი",
მით ამაყობდა ქართველთა შესანიშნავი გვარ-ტომი!
ჩვენსა წინაპრებს მტრებთანა გადაუხდიათ რაც ომი, —
თან ჰყავდათ თავის რაშები — ერთგულნი, საამაყონი!
ვით ქურდობა და ლოთობა, მთისკაცებს ისე გვრცხვენია, —
უნალო, ფეხებშიშველა, გზაზე ვატაროთ ცხენია,
შევჯდეთ, ან ბარგი ავკიდოთ, ცოდვა ჰქნათ ამოდენია!
აუხდენელი ნატვრითა გული გვაქვს მონაწყენია!
თუმცა გამრავლდა მთაშია მანქანის მისასვლელები,
აქ მესაქონლე მწყემსებსა ისევ გვჭირდება ცხენები —
ცხოველთა დიდი სამყაროს ღირსებით დამამშვენები!
არა ჩანს დამხმარებელი, ერთგულად დასასვენები!
გვიჭირს, ვართ იძულებული, ქორვაჭრის ჯიბე ვასქელოთ,
ჩვენი კაცური სინდისი ჩვენივე ფეხით გავთელოთ!
ცხენების შეკაზმულობის სხვაც საშოვნია საძნელო,
იქნება შენი რეცეპტი სარგებად შემოგვაშველო?!

გიორგი მარცვალაშვილი

(დუშეთის რ-ნი, სოფ. ჩარგალი)

ჭიდაობას რა უნდა?

ლენტეხელი მოჭიდავეები რომ საქვეყნოდ არიან ცნობილნი თავიანთი წარმატებებით, ეს შენც კარგად იცი, ჩვენო ნიანგო! მაგრამ ხომ უნდა აღვზარდოთ **ჯიბილო ნიჟარაძის, ოლეგ ზურაბიანის, დილარ ხაბულიანის, ბერდია გუგავასა** და სხვების შემცვლელები? როგორ აღვზრდით, როცა რაიონში არა გვაქვს თუნდაც ერთი უბრალო სავარჯიშო ოთახი (დარბაზზე რომ არაფერი ვთქვათ!). მაშ, სად ვავარჯიშოთ რაიონის ნაკრები გუნდი? ერთხანს რაიონის საშუალო სკოლის პრიმიტიული დარბაზი დაგვითმეს, შარშან ლენტეხის ავტოგარაჟის დირექტორს შევეცოდეთ და გამოგვიყო ოთახი, სადაც სულ მალე „დოსააფი" შეასახლეს და ჩვენ ლეიბებიანად გამოგვყარეს გარეთ (ლეიბები ამჟამად ისევ სკოლის დარბაზში ლპება!). სამი წლის წინათ რაიონის კულტურის სახლში ჩატარდა რესპუბლიკური ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობასა და ძიუდოში. ჩვენმა გუნდებმა კარგად იასპარეზეს და საპრიზო ადგილები დაიკავეს. მას შემდეგ ერთხელაც არ ჩატარებულა არც მოსწავლეთა და არც მოზრდილთა შეჯიბრება ისევ და ისევ სპორტული ბაზის უქონლობის გამო!..

გვახსოვს, 1974 წლის ოქტომბერში, რესპუბლიკის სპორტკომიტეტიდან ჩამოვიდა ავტორიტეტული, კომპეტენტური კომისია რაიონში სპორტული ბაზების მდგომარეობის შესამონმებლად და დაგვპირდნენ, რომ აქაურ მოჭიდავეებს ყველა პირობას შეგვიქმნიდნენ, მაგრამ მოტყუებულები დავრჩით!

ჭიდაობას რა უნდა, ფეხის გამოკვრა უნდაო, ნათქვამია. ნუთუ, მართლა ჰგონიათ, რომ ჭიდაობას ფეხის გამოკვრის მეტი არაფერი უნდა?!

გვირჩიე, როგორ მოვიქცეთ: ლენტეხიდან ქუთაისში ვიაროთ სავარჯიშოდ, თუ დავანებოთ თავი ჭიდაობას?!

სპორტის ოსტატები: **ვ. გაბიანი, მ. მუსელიანი, მ. გარდაფხაძე, რ. ლიპარტელიანი**; პირველ თანრიგოსნები: **ო. ქურასბედიანი, ვ. ჩანქსელიანი, ფ. გასვიანი, მ. ლიპარტელიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ფირცხალავა

— ეს კაცი ნამდვილად ილუზიონისტია: 10-ლიტრიანში 15 ლიტრი ჩაატია!

ᲙᲘᲑᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ᲥᲐᲜᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲘ.
ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ №3 ᲐᲕᲢᲝᲛᲒᲐᲚᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ გამართულ ტორებდა ბენზინრეგულაციები ძმიდე ფოკეცებით (ნაუთი, დიზელის საწვავი). კომორჩენის ავტორია **ოპერატორი ბ. გოგინაშვილი, თანაავტორი** — ვ. ოსტროვსკი.

ᲒᲐᲛᲝᲥᲐᲜᲘᲡ ᲜᲐᲒᲗᲝᲛᲑᲐᲨᲘᲡ და **№1 ᲐᲕᲢᲝᲛᲒᲐᲚᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ** მეტისმეტად ი�ხელოვნური დამატებით „ᲐᲜ-93“ ბენზინის ბაზაზე შეკმნის ინტიდიული საწვავი, რომლის ოქტანური რიცხვი დაწეულია ალმორნხდა 81,3 ერთეულამდე. საწვავი გათვალისწინებულია ეტერსმეტად ოთეზე ხელაღებულ ძმოლეგბისათვის. მისი ავტორები არიან **ოპერატორები ნ. დარსალია** და **ძანმაკვა. გალის №2 ᲐᲕᲢᲝᲛᲒᲐᲚᲐᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ** ᲛᲔᲠᲕᲔ **ᲠᲘᲒᲘ ᲒᲝᲒᲠᲘᲫᲘᲐ.** ᲝᲥᲢᲐᲜᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜ „ᲐᲜ-93“-ᲓᲐᲜ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲡ „98“, ᲮᲝᲚᲛ „ᲐᲜ-72“-ᲓᲐᲜ „70,9“ ᲘᲜᲢᲘᲜᲘᲦᲣᲚᲘ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘ. **ᲒᲐᲠᲓᲐ №1 ᲐᲕᲢᲝᲛᲒᲐᲚᲐᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ** „ᲐᲜ-93“ ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲘᲡ „92“ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲐᲬᲔᲗᲔᲡ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐ ᲒᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲧᲣᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲠᲬᲘᲚᲓᲐ. **ᲣᲪᲮᲝ ᲙᲐᲯᲐᲠᲐᲕᲐᲓ** ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐᲡᲐ. **ᲨᲣᲓᲒᲝᲛᲘᲡ №7 ᲐᲕᲢᲝᲛᲒᲐᲚᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ** „ᲐᲜ-93“-ᲘᲡ ᲓᲐᲣᲤᲘᲥᲠᲔᲚᲘ ᲠᲔᲪᲔᲞᲘᲡ ᲛᲫᲘᲓ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ (ნაუთი, დიზელის საწვავი) დაკვირგკეთლა ᲛᲫᲘᲓ ᲐᲚᲐᲜᲓᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘ (ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ, რაც **ᲝᲠᲘᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲒᲘᲠᲩᲔᲚᲘᲡᲐᲒᲜᲘᲗ** ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ. **ᲒᲐᲠᲓᲐ №1 ᲐᲕᲢᲝᲛᲒᲐᲚᲐᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ** ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ **ᲒᲐᲠᲓᲐ №2 ᲓᲐ №3 ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘᲡ №1, ᲐᲑᲐᲛᲘᲡ №5 ᲐᲕᲢᲝᲛᲒᲐᲚᲐᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲗ.** ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲛᲔᲠᲘᲚᲘ **ᲒᲝᲠᲘᲡ ᲐᲒᲚᲘᲡ.** ᲝᲠᲘᲐᲠᲘᲡ — **ᲨᲣᲠᲛᲐᲓᲒᲝᲜᲘᲡ, ᲨᲝᲗᲝᲕᲐᲜᲘᲡ, ᲐᲑᲐᲛᲘᲡ, ᲛᲔᲢᲠᲐᲢᲠᲘᲡ** — ᲙᲐᲯᲐᲠᲐᲕᲐᲓᲘᲡ, **ᲛᲔᲢᲠᲐᲢᲠᲘᲡ** — **ᲨᲐᲠᲚᲘᲡ №1** ᲐᲒᲚᲘᲡ ᲝᲠᲘᲐᲠᲘᲡ **ᲨᲐᲠᲚᲘᲡ №2** ᲓᲐ **№3.** ᲙᲐᲠᲔᲚᲘᲡ **№1, ᲐᲑᲐᲛᲘᲡ №5 ᲐᲕᲢᲝᲛᲒᲐᲚᲐᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲗ.** ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲛᲔᲠᲘᲚᲘ **ᲒᲝᲠᲘᲡ ᲐᲒᲚᲘᲡ** — **ᲨᲣᲠᲛᲐᲓᲒᲝᲜᲘᲡ** — **ᲨᲐᲠᲚᲘᲡ №2** ᲓᲐ **№3, ᲙᲐᲠᲔᲚᲘᲡ №1, ᲐᲑᲐᲛᲘᲡ №5 ᲐᲕᲢᲝᲛᲒᲐᲚᲐᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲗ.** ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲛᲔᲠᲘᲚᲘ **ᲒᲝᲠᲘᲡ ᲐᲒᲚᲘᲡ.** ᲝᲠᲘᲐᲠᲘᲡ — **ᲨᲣᲠᲛᲐᲓᲒᲝᲜᲘᲡ, ᲨᲝᲗᲝᲕᲐᲜᲘᲡ, ᲐᲑᲐᲛᲘᲡ, ᲛᲔᲢᲠᲐᲢᲠᲘᲡ** — **ᲨᲐᲠᲚᲘᲡ №1** ᲐᲒᲚᲘᲡ ᲝᲠᲘᲐᲠᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცით თუ არა თქვენ, რომ...

ზესტაფონის რაიონის სოფელ შუა ქვალითში არ არის საქ-ალმო პუნქტი, მალაზია, ტელეფონი და, რაც მთავარია, — ავტობუსი. სოფლის მოსახლეობა რაიონის ხელმძღვანელობას სთხოვს, ერთი ავტობუსი დაგვინა-ზნეთ რაიონული ცენტრიდან და ჩვენს სოფელში რომ სამკურნალო აბანოა, იმით თქვენც ისარგებლეთო?

* * *

ქალაქ ბორჯომის კიროვის ქუჩის 63, 65, 69, 71, 73 ნომრების მცხოვრებლებმა რედაქციას მოსწერეს, ჩვენს სახლებში მაღალ სართულებზე წყალი არ ამოდის და ეს საქმე ისე მოაგვარეთ, რომ ბორჯომის საქალაქო საბჭოსა და წყალთა მეურნეობის ხელმძღვანელობას არ გააგებინოთო?

* * *

ბორჯომის რაიონის სოფელ გუჯარეთიდან გვაცნობეს: გუ-ჯარეთის ხეობაში 9 სოფელია დადარდიანებული უკლუბობითა და უკინოობით და ერთი ექიმიც კი არა ჰყავთ, რომ დარდი გაუზიარონო?

* * *

ალუბიასა და აბანოს სატკივარი აწუხებთ ბორის რაიონის სოფელ სვანეთშიც და ამას ისიც ემატება, რომ სასოფლო გზები შეუკეთებელია?

* * *

ქალაქ ქუთაისის წულუკიძის ქუჩის მე-6 შესახვევში მცხოვრები მუშობლები ჩივიან, ქუჩა ისეა აწყალტალახებული, რომ ბავშვები მხრებზე-შეს-მულები დაგვყავს სკოლაშიც და საბავშვო ბაღშიცო?

* * *

ქალაქ ქუთაისის ს. ორჯონიკიძის ქუჩის საკითხი დიდად აწუხებთ ჭუთაისის ს. ორჯონ-ქარხნის რაიაღმასკომს: მათ რედაქციას მოსწერეს, ეს წერილი ავტო-დაგვიჯერეს ქუჩა რომ შესაკეთებელიაო?

* * *

გადათხრილი ქუჩის მცხოვრებთაც: მათ რეკომენდაციას მოსწერეს, ეს წერილი ავტო-ნიკიძის ქუჩის ... ...

«ნიანგის» ჩაცწინანდაღება

„ნ. გოსტაშაბიშვილი“

ამას წინათ ერთ ქართულ გაზეთში ილია ჭავჭავაძის საალაღწლო მოთხრობის სათაური „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ შემოკლებული სახით — „ნ. გოსტაშაბიშვილი“ — იყო დაბეჭდილი. ნიანგი მიესალმება მხატვრული ნაწარმოების სათაურის ასეთ გაბედულ შემოკლებას და მკითხველებს სთავაზობს მის მიერ შემოკლებული სათაურების შემოკლებულ სიას:

„ა. ტფილელის მარტვილობა“, „ე. ონეგინი“, „დ. კიხოტი“, „რ. მგელი“, „პ. დიდი“, „ქ. ნამებული“, „მ. სტიუარტი“, „მ. ჩუდრა“, „დ. კოპერფილდი“, „ჰ. მურატი“, „ა. კარენინა“, „დ. თავდადებული“, „ა. მარაბდელი“, „გ. ბიგვა“, „ბ. ქექია“, „მ. მწერალი“, „ა. ქეთელაური“, „ტ. და იზოლდა“, „ა. დარეჯანიანი“, „მ. ფალკონე“, „ე. II“, „ვ. რამიანი“, „ქ. და დამანა“, „ბ. აჩუკი“ დ. სხვ. მრ.

ამავე მეთოდის გამოყენებით შეიძლება დავწეროთ და დავბეჭდოთ:

„შ. წამება“, „ვ. ტყაოსანი“, „ო. ქვრივი“, „დ. მოურავი“, „პ. კახი“, „ხ. გოჩა“, „ს. მასპინძელი“, „გ. მჭამელი“, „ქ. დედა“, „კ. ადამიანი?!“, „ნ. დონი“, „ძ. კარამაზოვები“, „ო. და მშვიდობა“, „მ. სულები“, „მ. მკვლელი“, „კ. ცისკარი“, „ს. სიცრუისა“, „შ. მთაწმინდაზე“, „წ. და შავი“, „პ. ნაბიჯი“, „კ. ც. წრე“, „კ. გრანტის შვილები“, „ჩ. დროის გმირი“, „კ. ფუტლიარში“, „ბ. ქართლისა“ და სხ. მრ.

ბ. მ.

ახალი მაგიდა

სასადილო მაგიდა ვიყიდე. ახალდაბადებული შვლის ნუკრივით პატარაა და ფეხზე დგომა უჭირს...

სამარილე თუ დადგი, ჭიქები აღარ ეტევა, დანა თუ იხმარე, ისეთი შტორმი ატყდება წვნიან თეფშებში, რომ ნახევარი საათი დამშვიდებას ვუნდებით.

ალბათ, ქარიან ამინდში მოჭრილი ხისგანაა დამზადებული და იმიტომ ქანაობს, თორემ იმდენი ლურსმანი აჭედია, ორსართულიანი სახლის ასაშენებლად იკმარებდა.

ხის დამუშავება თუ უჭირთ, სჯობს, ავეჯის ფაბრიკებმა რკინაბეტონის მაგიდების კეთება დაიწყონ! თუ ფეხებში არმატურას ჩავაყოლებთ და სიმკარს გამოვიყენებთ, თქვენ წარმოიდგინეთ, მშვენიერი მაგიდა გამოდის — ტრაქტორმაც რომ გადაუაროს, არ დაიშლება!

ეზოში გვაქვს ასეთი. სამი წელია, პენსიონერები დღე და ღამე დომინოს უბათქუნებენ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! — მაგიდას არაფერი დასტყობია! მერედა, მოფამფალებული პენსიონერები არ გეგონოთ, ხელებში რომ ძალა არა აქვთ, — თითოეული მათგანი ას კილოზე მეტს იწონის!

ბორის ქვარაია

იგეჭდება ავტორის დაჟინებული ვოთხოვნით!

მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“.
უცილობლობს ვითა ჯორი.

ზოთა რუსთაველი

შუქრის ნაამბობი

— რა მეოცნებე დედა მყავს
არ უყვარს: მძიმე, წერტილი,
ჯერ ოთხი წლისაც არა ვარ
სურს ახლა ვიყო ექიმი!

ვიჯდე, რეცეპტებს ვავსებდე —
თვისით ცვიოდეს ფულები,
ეზოში ვოლგა მეყენოს —
ეხატოს ბრილიანტები.

სულ ჩამჩიჩინებს ისწავლე
გართობას, თამაშს მიკრძალავს,
რვეულ-წიგნებით ამავსო —
სათამაშოებს მიმალავს!

ვღონდები, რა ვქნა არ ვიცი —
— ვის ვთხოვო შუამავლობა,
დედიკოს სთხოვოს მაცალოს
პატარას, სატრფო ბავშვობა!

ბავშვის ყოფა და ცხოვრება
დიდისას არ ეტოლება,
— იგი წავა და არ მოვა
არასდროს განმეორდება.

არ დავიზარებ არც სწავლას,
არც თავს შევარცხვენ, არც მშობელს,
ლამაზ სამშობლოს პატივს ვცემ,
პატივს ვცემ საყვარელ მშობლებს.

აკაკი ფერაძე
(ზესტაფონის რ-ნი, სოფ. მარტოოთუბანი)

ნახ. ნანა ალიბეგაშვილისა

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია!

მთავარი რედაქტორი **ზაურ ბოლქვაძე** სარედაქციო კოლეგია: ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომაძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნიანიძე. ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სტირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 24/XII-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/I-80 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 3128. უე 00607. ტირ. 160.100. Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: ბ. აბუაძე, ნ. ალიბეგაშვილი, ბ. კუხალაშვილი, ე. ბერიკაშვილი, ბ. ბეტრიველი, ო. ოსეფაიშვილი.

ლადო ასათიანის

სახუმრობები

7-80

80-120

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ზოგიერთი ამბავი ან რაიმე (რომელიმე) ეპიზოდი, რაიც ჯერ არც ერთ მოგონებაში არ შესულა და ზოგიერთი მათგანი არც ლადოს წიგნებში დაბეჭდილა.

იმ ლექსების გარდა, რომლებსაც სიამოვნებით ვკითხულობთ ახლა, ლადო ასათიანსა და მის ამხანაგებს დარჩათ ბევრი დაუბეჭდავი ეპიგრამა და სახუმარო ლექსი, რაც ცალკე ხელნაწერ წიგნად არის შენახული. აქ იქნება 400-ზე მეტი ეპიგრამა, სხარტულა, ნაკვესი და ე. წ. ფუნაგორია. ბევრ მათგანს ლადო ასათიანს მიაწერენ, მაგრამ ასეთებს სხვებიც წერდნენ. ამის გამოკვლევა ფოლკლორისტებს მივანდოთ, ჩვენ კი გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი და ცოტათი გავმხიარულდეთ.

ლადო ასათიანის ნათქვამი ანდაზაა: მდივნები წავლენ, წამოვლენ, მწერლები დარჩებიანო. ეს იმ დროსაა ნათქვამი, როცა ხშირხშირად იცვლებოდნენ მწერალთა კავშირის მდივნები.

•

ერთ დღეს ერთად გამოვიდა ახალგაზრდობისაგან ათვალწუნებული ორი პოეტის ლექსთა კრებულები. ერთ-ერთმა ახალგაზრდა პოეტმა უბის წიგნაკში ჩაიწერა:

გამოვიდა წიგნები
სახელგანთქმულ ციგნების.

•

ერთ პოეტზე, რომელიც სხვას პარავდა ლექსებს, თავისად ასაღებდა და ბეჭდავდა, ლადომ ასე დაწერა:

ის პოეტია მასტიტი,
გამქაფველია სასტიკი,
ნეხვით სავსე აქვს მას ტიკი,
გაპრიალებულს მასტიკით
უნდა მიაჭრა მას სითი...

•

პოეტი რევაზ მარგიანი სვანეთიდან არის, მესტიის რაიონიდან. ამის გამო ლადომ თქვა:

დაიბადა მესტიაში,
პოეტია ბლესტიაში!

ერთი ვინმე საწყალაჟი...

პოეზიას ობლად უცქერს,
არავინ ჰყავს ნათესავი;



ყრუ რითმების არს მთესავი:
ზოგან — წითელ, ზოგან—ყვითელ,
ზოგან — თეთრი, ზოგან — შავი...
იმ ჩემი ძმა პოეტივით —
ხელმეორედ სალექსავი!
მის წაკითხვას — ის გერჩივნოს,
თავში ირტყა სალესავი!

•

კონკურსი არის კარგ ვოდევილზე, —
შენ რაღას ფიქრობ. კაკო დევიძე?

•

მწერალია' ლოველასი,
ვერ დამწერი ნოველასი.

•

სანჩო-პანსა — იმერელი გლეხია, ზემოური, ან ოკრიბელი.

•

ასტეხა ერთი ბ ღ ა ვ ი ლჟამიერი!

•

თმა ლუდის ქაფივით ადგება თავზე.

•

„ჩვენი შესანიშნავი პოეტის ამ ღირსშესანიშნავი კრებულის გამოცემა, როგორც ამას ჩვენი არანაკლებ მნიშვნელოვანი კრიტიკა აღნიშნავს, ნიშნავს იმ განსაკუთრებულისა და ახლის აღნიშვნას ჩვენი უშესანიშნავესი ხალხის ცხოვრებაში, რაც პოეტმა ჩანიშნა ჩვენი მწერლობის შესანიშნავ საგანძურში და, რაც ბუნებრივად აღსანიშნავია, დაკავშირებულია ჩვენი შესანიშნავი სამშობლოს უმნიშვნელოვანეს სახელთან“. **(ერთი კრიტიკოსის სტილი და ენა).**

•

ზოგი ავად არის ტიფით,
სხვები რჩება უტიფარი...

•

ერთის სურათზე თქმული: ისეთი გამოხედვა აქვს, ყველაფერს იკადრებს: გილალატებს, მოგატყუებს, ხარ გროშად გაგყიდის.

•

„დემიანოვა უხა“ — „დემიანეს ყური“.

ერთხელ ელიოზ ხუციშვილმა მითხრა: ზოგიერთი რომანის წაკითხვამდე უნდა ამოხიო და გადააგდო ის წინასიტყვაობა, რომელიც თან ერთვის ამ რომანს, აბითურებს ავტორსა და მის მსოფლმხედველობას და ადამიანს წაკითხვის ხალისს უკარგავსო.

•

გოგრა ისე გაიტენა ცოდნით, ლამის ტვინი გარეთ გადმოანთხია...

•

მავანი და მავანი, იმის გამო, რომ ხეირიანი ხმის იოგები აქვთ, ხალხის სახელით ლაპარაკის მონოპოლიას ი[illegible]მებენ.

•

უნდა გავმრავლდეთ მალთუსის ჯინაზე!

•

დედაბერმა იანვარში მარწყვი მოინატრაო. ჭკვიანი ქალი ყოფილა ის დედაბერი: აპრილში კი არ უნატრია!

•

ზოგიერთი მუშა დაზგას უვლის და ელოლიავება, ორსულ ცოლს კი სცემს და ამწარებს.

•

წინათ გახურებული შანთით კუდიანებს დაღავდნენ. ახლა ვის სჭირია შანთი? ზოგიერთ კრიტიკოსს — უნიჭოთა დასადაღავად!

•

ალ. საჯაია ხედავს:
რა საოცრება ხდება —
შ. რადიანმა წერა
რ. მარგიანის ქება...

•

ახალგაზრდობის შექებას ძალიან გაურბიან კრიტიკოსები. ვითომ არ გვანებივრებენ. ამიტომაც ყოველი ტკბილი სიტყვა გვაკვირვებს და გვაოცებს...

„ჩვენი თაობის“ მესვეურებს

ვის აამღერებს თქვენი ჟურნალი?
ეს „თაობაა“, თუ უთაობა?
მაგას აკლია ფრიდონის ცეცხლი
და ტარიელის გამბედაობა!

ასეთები კიდევ მრავლად მოიპოვება, მაგრამ ახლა ეს ვიკმაროთ!

ნიკა აგიაშვილი